



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №02

ქ. ბათუმი

13 ივლისი, 2018წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის „ბსუ ფაბლაბი“ (FAB LAB BSU) დებულების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის „ბსუ ფაბლაბი“ (FAB LAB BSU) თანდართული დებულება (დანართი 1).
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ხოლო გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობის პირებს (ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაბლაბის პერსონალს).
3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 აგვისტოდან.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტ. ზუბალაშვილის ქ. N30) ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს პიკერი,

პროფესორი

დ. ბარათაშვილი

„დამტკიცებულია“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2018 წლის 13 ივლისის N02 გადაწყვეტილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის „ბსუ ფაბლაბი“-ს (FAB LAB BSU) დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (შემდეგში „უნივერსიტეტი“ ან „ბსუ“) და სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ შორის 2015 წელს გაფორმებული მემორანდუმისა და საგრანტო ხელშეკრულების (დადებული 2015 წლის 1 დეკემბერს) საფუძველზე, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ბაზაზე დაარსებული სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის „ბსუ ფაბლაბი“ (ინგლისურად: **FAB LAB BSU**, შემდეგში - „**ფაბლაბი**“) ფუნქციებსა და საქმიანობის წესს.
2. ფაბლაბი არის საქართველოს „ფაბლაბის“ გაერთიანების წევრი და საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების წესდებით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. ფაბლაბი განთავსებულია ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ შენობაში შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ფიროსმანის ქ. N12 (ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მე-3 სართული).

მუხლი 2. ფაბლაბის მიზნები და ფუნქციები

1. **ფაბლაბის მიზანია:**
 - ა) უზრუნველყოს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;
 - ბ) ხელი შეუწყოს ახალი თაობის სამეცნიერო და საინჟინრო ცოდნის გავრცელებას;
 - ბ) უზრუნველყოს ბსუ-ს პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის (შემდეგში „მომხმარებელი“) სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა;
 - გ) ხელი შეუწყოს ქვეყანაში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებას, ინოვაციური ხასიათის ტექნოლოგიური იდეის განვითარებასა და მის შემდეგ კომერციალიზაციას.

2. ფაბლაბის ფუნქციები:

- ა) ინოვაციური პროექტების ფარგლებში, არსებული ტექნიკური მოწყობილობების საშუალებით სხვადასხვა ექსპერიმენტების განხორციელება;
- ბ) ბსუ-ს სტუდენტებისა და სხვა მომხმარებლების მიერ სასურველი პროდუქციის შექმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების მხარდაჭერა, დაგეგმვა და განხორციელება;
- გ) ბსუ-ს სტუდენტებისა და სხვა მომხმარებლების მიერ ფაბლაბში საკუთარი იდეების განხილვის, ასევე საკუთარი ბიზნეს მოდელების შექმნის მიზნით ტექნიკური და მარკეტინგული რჩევებით უზრუნველყოფა;
- დ) უზრუნველყოს ფაბლაბში შექმნილი პროდუქციის/ნივთების გამოფენის მოწყობა/ორგანიზება, ასევე შექმნილი ნივთების კომპიუტერული მოდელების სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ შექმნილ ერთიან ბაზაში ატვირთვა;
- ე) შეასრულოს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების წესდებით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციები.

3. ფაბლაბი თავისი ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს შემდეგი ულტრათანამედროვე აპარატურით:

ა) **3D პრინტერი** - პროგრამირებადი დანადგარი ინოვატორებს საშუალებას აძლევს შექმნან საკუთარი გამოგონებების პირველადი მუშაო პროტოტიპები. დანადგარი პოლიმერული მასალისგან შეცხელება-შეწებების მეთოდით ქმნის ნებისმიერი სირთულის, 100%-იანი სიზუსტით შესრულებულ ნივთს;

ბ) **ლაზერული მჭრელი** - გამოიყენება მოჭრისა და გრავირებისათვის ხეზე, ტყავზე, ორგანულ მინაზე, მეტალზე, მუყაოსა და სხვა ტიპის მრავალფეროვან მასალაზე, ასევე გამოიყენება როგორც სრულფასოვანი, მუშა, დახვეწილი დიზაინის პროტოტიპების შესაქმნელად და სხვადასხვა ზომის ნივთების საწარმოებლად;

გ) **CVC რუტერი** -3D პროგრამირებადი ჩარხი. მუშაობს ხეზე, ორგანულ მინაზე, მეტალსა და სხვა ტიპის მყარ მასალაზე. რუტერი ხელოვანებსა და ინოვატორებს ისეთი ტიპის პროტოტიპების შექმნის საშუალებას აძლევს, ისეთი სიზუსტით, რომლის შექმნაც ხელით შეუძლებელია, ან ძალიან დიდი დრო სჭირდება. დანადგარი ასევე გამოიყენება ყალიბების დასამზადებლად;

დ) **სასერიპლოტერები, სხვადასხვა ტიპის მყარ ზედაპირზე საბეჭდი დანადგარები და თერმული პრესები** - დანარჩენ დანადგარებთან ერთად საშუალებას იძლევა, რომ ფაბლაბში მოსულმა ინოვატორმა შეძლოს ტექნიკურად მუშა და ან ვიზუალურად მაღალი დონის, ხარისხიანი პროტოტიპის დამზადება.

ე) 3D სკანერი - ახდენს ობიექტების სკანირებას (90% სიზუსტით).

4. ფაბლაბის სერვისით (მათ შორის კვირაში 2 დღე უფასოდ) შესაძლებელია ისარგებლოს როგორც ბსუ-ს სტუდენტებმა, ასევე სკოლის მოსწავლეებმა (16 წლამდე პირებისათვის უფლებამოსილი პირის ზედამხედველობით) და სხვა პირებმა.
5. ფაბლაბის სერვისით მომსახურების ღირებულება, ასევე ფაბლაბის უფასო სერვისის დღეები და უფასო მომსახურების მიმღები ფიზიკური პირების შერჩევის წესი (გამჭვირვალე პროცედურა) განისაზღვრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 3. ფაბლაბის პერსონალი

1. ფაბლაბის პერსონალს შეადგენს მენეჯერი და სპეციალისტები.
 2. ფაბლაბის პერსონალს ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მათ შორის ფაბლაბის მენეჯერს - რექტორთან შეთანხმებით.
- 3.. ფაბლაბის მენეჯერი:**
- ა) ხელმძღვანელობს ფაბლაბის საქმიანობასთან დაკავშირებული, საქართველოს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების წესდებით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას;
 - ბ) პასუხისმგებელია ფაბლაბის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ვალდებულია რაციონალურად გაანაწილოს შესასრულებელი სამუშაო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაოთა აღწერილობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად და გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი;
 - გ) ფაბლაბის კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წინადადებებს და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორს;
 - დ) მოქმედებს ფაბლაბის სახელით და განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში;
 - ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვიზიტად ასტურებს ან ითანხმებს ფაბლაბის ან უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციის პროექტებს;
 - ვ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია ფაბლაბის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
 - ზ) პერიოდულად ისმენს ფაბლაბის პერსონალის ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

- თ) წარადგენს წინადადებებს ფაბლაბის სტრუქტურის, საშტატო ერთეულების, ფუნქციების, პერსონალის მიმართ წახალისების ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე;
- ი) წარადგენს საქმიანობის ანგარიშს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
- კ) უზრუნველყოფს ფაბლაბის მიზნების შესაბამისად ფუნქციონირებას, პასუხისმგებელია ფაბლაბში არსებული ტექნიკისა და დანადგარების გამართულ მუშაობაზე, მასალებისა და კომპონენტების მარაგების კონტროლზე და აღრიცხვაზე, ფაბლაბის დანადგარებთან მუშაობასთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარებაზე;
- ლ) ახორციელებს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების წესდებით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს, ფაბლაბის კომპეტენციის ფარგლებში.

3. ფაბლაბის პერსონალის (უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობის) სამუშაოთა აღწერილობა, ფაბლაბის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად, განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

4. წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საშტატო ერთეულების დასახელების ან მათი რაოდენობის ცვლილება არ გამოიწვევს ამ დებულებაში ცვლილების შეტანას.

მუხლი 4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინიციატივით მიღებული წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.